

## შპს "საქინვესტის" მიერ განხორციელებული ინვესტიციები ენერგოეფექტურობაში ახლა უკვე ევროკავშირის რეგულაციების მთელ რიგს აკმაყოფილებს

შპს "საქინვესტმა" ევროკავშირის EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზის სესხის დახმარებით ცივი შენახვის შენობის რეკონსტრუქცია მოახდინა. შეიცვალა სენდვიჩის პანელები, კარები და მაცივრებისთვის საჭირო აქსესუარები. პროექტის ფარგლებში კომპანიამ ასევე დაამონტაჟა ახალი ჩასატვირთი ბაზები, ტამბური, განაახლა ადმინისტრაციული ოფისი და ოფისთან მისასვლელი გზა. აღნიშნული ინვესტიციით კომპანიამ აიმაღლა გარემოს დაცვის სტანდარტები მოხმარებული ენერჯის მნიშვნელოვნად დაზოგვისა და წყლის დრენაჟის შემცირების ხარჯზე. ასევე, მოხდა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროფესიული სტანდარტების ახალ დონეზე აყვანა. ახალი დანადგარები სრულად შეესაბამება ევროკავშირის EU ODS სტანდარტებს. განხორციელებული პროექტის გადამოწმების შემდეგ კომპანიას გრანტის სახით კრედიტის სრული მოცულობის 15% -ის შესაბამისი თანხა გადაეცა.

### განხორციელებული ინვესტიცია:

- ცივი შენახვის შენობის რეკონსტრუქცია
- სენდვიჩ-პანელები, კარები და აქსესუარები მაცივრებისთვის, ტამბური
- ადმინისტრაციული ოფისის შენობის და ოფისთან მისასვლელი გზის რეკონსტრუქცია

### ინვესტიციის მოცულობა:

- კრედიტის საერთო თანხა: EUR 643,744
- მიღებული გრანტი (15%): EUR 96,562



### ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრა:

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივა 2006/42 / EC დანადგარების შესახებ, და 95/16 / EC დამატებითი დირექტივა;
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დირექტივა 2009/125 / EC ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებული პროდუქტებისათვის შექმნილი ეკოდიზაინის მოთხოვნების სამუშაოების ნუსხა (EEA შესაბამისობის ტექსტით);
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის რეგულაცია
- (EC) № 1005/2009 ოზონის შრის დამზღველი ნივთიერებების გამოყოფის შესახებ, (EEA-ს შესაბამისი ტექსტი);